

გადაცემა „მაესტრო“ იწყებს კონკურსანტების შერჩევას

"მაესტრო" BBC-ს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შოუა.

გადაცემის მიზანია კლასიკური მუსიკისა და დირიჟორის პროფესიის პოპულარიზაცია.

გადაცემაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. სავალდებულო მოთხოვნაა, რომ კონკურსანტს არ ჰქონდეს მუსიკალური განათლება, ან ჰქონდეს არა უმეტეს 7 კლასისა.

მსურველებმა თან უნდა იქონიონ მათთვის სასურველი კლასიკური ნაწარმოების აუდიო ჩანაწერი (2–3 წთ.), ასევე მოკლე ავტობიოგრაფია.

პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, ყოველ შაბათს მოხდება კონკურსანტის მიერ შერჩეული მუსიკალური ნაწარმოების დირიჟორობის გადაღება, რომლის მიხედვითაც შეირჩევა 8 მონაწილე.

მუსიკალურ კონკურსში მონაწილეებს მანამდე სიმფონიურ ორკესტრთან, როგორც დირიჟორებს, შეხება არ უნდა ჰქონდეთ.

გადაცემა ექვსი საკონკურსო დღისგან შედგება.

პირველი დღე არასაკონკურსოა. მონაწილეები დირიჟორობენ ისე, როგორც ეს მათ ესმით (მათ რამდენიმე დღით ადრე, წილისყრის საფუძველზე, კომპაქტდისკებზე ჩაწერილი ნაწარმოებები ურიგდებათ). კონკურსანტებს ჰყავთ პედაგოგები და კონცერტმეისტერები, ვისთან ერთადაც მომდევნო კვირის განმავლობაში ამზადებენ იმავე ნაწარმოებს, რათა საკონკურსო დღეს მასწავლებლებისა და ჟიურის წინაშე წარდგინონ.

ოთხკაციანი ჟიურისა და ორკესტრის გადაწყვეტილებით, პროექტს ერთი მონაწილე ეთიშება - რვა მონაწილიდან ჟიური ექვს მათგანს ტოვებს; ორი აუტსაიდერიდან კი ორკესტრის წევრები კენჭისყრის საფუძველზე ერთს ირჩევენ.

ყოველი ტურის შემდეგ, დარჩენილ მონაწილეებსა და მათ პედაგოგებს ახალი ნაწარმოებები ურიგდებათ მოსამზადებლად. კონკურსანტები მსმენელისა და ჟიურის წინაშე ერთი კვირის შემდეგ, მომდევნო ტურში წარდგებიან. ნაწარმოებები ეტაპობრივად რთულდება. რეპერტუარში შედის სიმფონიები, საგუნდო ნაწარმოებები, საფორტეპიანო და სავოლინო კონცერტები, ვოკალური ნაწარმოებები.

ფინალში ორი კონკურსანტი დარჩება.

საკონტაქტო ტელ. 577 78 07 70 მამუკა მეგრელიშვილი